



GALT & TAGGART
CREATING OPPORTUNITIES


გლობალური ბაზრების მიმოხილვა

გლობალური ბაზრები
პერიოდული
2 დეკემბერი, 2020

- ნოემბერი საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებისთვის ერთ-ერთი საუკეთესო თვე აღმოჩნდა. ევროპული და ამერიკული ინდექსების უმეტესობამ ნოემბერში რეკორდულ დონეს მიაღწია. აღნიშნული ზრდა, ძირითადად ვაქცინების შესახებ გავრცელებულ პოზიტიური სიახლეებთანაა დაკავშირებული. ამასთან, დადებითი გავლენა ჰქონდა არჩევნებთან დაკავშირებული გაურკვევლობების შემცირებას ამერიკაში. აღსანიშნავია, რომ ნოემბრის მეორე ნახევარში AstraZeneca-სა და ოქსფორდის უნივერსიტეტის მხრიდან მესამე და ყველაზე ხელმისაწვდომი ვაქცინის შესახებ გახდა ცნობილი. მათმა ვაქცინამ 90%-მდე ეფექტურობა აჩვენა (დამოკიდებულია დოზირებაზე), რაც შედარებით დაბალია Moderna-სა და Pfizer-ის ვაქცინების 95% ეფექტურობასთან. თუმცა, AstraZeneca-ს უპირატესობა მის ხელმისაწვდომობაში (ვაქცინის ფასი იქნება \$ 3-4) და შენახვის სიმარტივეშია, რაც ვაქცინის მასობრივ განაწილებას გაცილებით ამარტივებს.
- 30 ნოემბერს Moderna-მ განაცხადა, რომ კომპანია შეეცდება აშშ-სა და ევროკავშირისგან დაჩქარებული ნებართვა მიიღოს COVID-19 ვაქცინისთვის. Moderna-ს ვაქცინა მეორე ვაქცინაა (Pfizer-ისა და BioNTech-ის შემდეგ), რომლის დისტრიბუცია დეკემბრიდანაა მოსალოდნელი. ამერიკის სურსათისა და მედიკამენტების ადმინისტრაცია აღნიშნულ ვაქცინებს სავარაუდოდ, 10 და 17 დეკემბერს განიხილავს.
- კორონავირუსის წინააღმდეგ ეფექტური ვაქცინის შესახებ გაკეთებულმა განცხადებებმა, გააუმჯობესა გლობალური ინვესტორების რისკის განწყობები. საერთაშორისო ფინანსთა ინსტიტუტის (IIF) თანახმად, განვითარებად ბაზრებში კაპიტალის ნაკადების ზრდა ოქტომბერ-ნოემბერში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო.
- ციკლური აქტივების მიმართ ინტერესი ნოემბრის მეორე ნახევარშიც შენარჩუნდა. ინვესტორები განაგრძობენ ტექნოლოგიური კომპანიებისა და უსაფრთხო აქტივების ჩანაცვლებას, უფრო ფუნდამენტური აქტივებით. შესაბამისად, ნოემბერში ენერგეტიკის, საფინანსო და ინდუსტრიული სექტორის წარმომადგენლებმა აჩვენეს მნიშვნელოვანი ზრდა.
- საერთო ჯამში, ნოემბერი გლობალური კაპიტალის ბაზრებისთვის საკმაოდ კარგი თვე აღმოჩნდა და ძირითადად ინდექსებმა თვე ორნიშნა პროცენტული ზრდით დაასრულეს. S&P 500 (აშშ-ს 500 უმსხვილესი კომპანიის ინდექსი) ნოემბერში 10.8%-ით გაიზარდა. Dow Jones (ამერიკის მსხვილი 30 კომპანია) ინდექსმა 24 ნოემბერს ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და თვე 11.8%-იანი მატებით დაასრულა. ნოემბერში ასევე გაიზარდა ტექნოლოგიური კომპანიებით დატვირთული NASDAQ-ის ინდექსი (+11.9%). ვაქცინის შესახებ გაკეთებულმა სიახლეებმა დადებითი გავლენა იქონიეს ევროპულ ინდექსებზეც, რომლებმაც თვე 12%-14%-იანი ზრდით დაასრულეს.

გთხოვთ, გაეცნოთ მნიშვნელოვან შეტყობინებას დოკუმენტის ბოლო გვერდზე.

S&P 500 (აშშ)




Dow Jones Industrial Average (აშშ)




NASDAQ (აშშ)



STOXX 600 (ევროპა)



FTSE 250 (ლონდონი)



**Emerging Markets Index
(განვითარებადი ქვეყნები)**




წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: 2020 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით

- **ჩინეთის** ობლიგაციების ბაზარი, რომლის ღირებულება 15 აშშ ტრილიონ დოლარზე მეტია და სიდიდით მეორე ობლიგაციების ბაზარია მსოფლიოში, ნოემბერში ინვესტორების მხრიდან კრიტიკის საგანი აღმოჩნდა. მას შემდეგ რაც, ერთ-ერთმა უმსხვილესმა სახელმწიფო კომპანიამ გამოაცხადა დეფოლტი, სახელმწიფო კომპანიების მიმართ ინვესტორების ნდობა შემცირდა (შესაბამისად გაიზარდა საპროცენტო ხარჯებიც). აღნიშნულს, საკმაოდ მკაცრი განცხადება მოჰყვა ჩინეთის სახელმწიფოს მხრიდან, რათა მომავალში თავიდან აირიდონ ინვესტორების შეცდომაში შეყვანა.
- მიუხედავად დეფოლტების სერიისა, გლობალური ინვესტორების ინტერესი ჩინეთის მიმართ კვლავ ძლიერი რჩება. ჩინეთის უახლესმა განთავსებამ, რომელიც პირველი უარყოფითი უკუგების მქონე ობლიგაციაა, ინვესტორების მხრიდან საკმაოდ დიდი დაინტერესება გამოიწვია. 4 მილიარდი ევროს ღირებულების სახელმწიფო ობლიგაციებზე ინტერესმა 18 მილიარდ ევროს მიაღწია. ინვესტორების ინტერესი ჩინეთის კაპიტალის ბაზრებზეც აისახა - Shanghai Composite-მა ნოემბერში 5.2%-იანი ზრდა აჩვენა.
- **იაპონიურმა** აქციებმა ზრდა ნოემბრის მეორე ნახევარშიც გააგრძელეს. იაპონიის Nikkei 225 ინდექსი ნოემბერში 12.9%-ით გაიზარდა, რაც 1991 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. აღნიშნული ზრდა, გლობალური „როტაციის“ შედეგია, როდესაც ინვესტორები ტექნოლოგიური კომპანიებიდან უფრო ფუნდამენტურ კომპანიებში გადადიან.

ნავთობი და ოქრო

- ნავთობის ფასმა ზრდა ნოემბრის მეორე ნახევარშიც გააგრძელა, რაც ვაქცინის შესახებ გავრცელებულ პოზიტიურ სიახლეებს უკავშირდება. WTI ნავთობის ფასმა ნოემბერში 26.7%-იანი ზრდა აჩვენა და თვის ბოლოსთვის ბარელზე 45 აშშ დოლარი შეადგინა, რაც მარტის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.
- ოქროსთვის ნოემბერი 4 წლის განმავლობაში ყველაზე ცუდი თვე აღმოჩნდა. ნოემბერში ოქროს ფასი 5.4%-ით შემცირდა და უნციაზე 1,777 აშშ დოლარამდე დაეკარდა. აღნიშნულია შემცირება გამოწვეულია იმით, რომ გაუმჯობესებული განწყობების შედეგად, ოქროზე - რომელიც შედარებით უსაფრთხო ინვესტიციად ითვლება - ინვესტორების მხრიდან მოთხოვნა შემცირდა.



წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: 2020 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძვლს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდდით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის უფროსი

ევა ბოჭორიშვილი | evabochoreshvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი

ანა ნაჭყებია | ananachkebia@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: researchgt@gt.ge